



საღებო \* ✦

ბანტიადები

**SUGAR FREE**

გურს ✦  ✦  ✦ 

ჯიუბპარიანი

მადლობა ინსპირაციისთვის საშა შულგინს,  
ჩინურ ლაბორატორიებს და საქართველოს ფოსტის  
კურიერებს.

მადლობა სათაურისთვის ზაზა კარამაზოვას.

მადლობა ტომს.

გრინჩის ხსოვნას

სეფიროთების ხეს სცვივა ფოთლები – შემოდგომაა, და-  
კარგული ღმერთის ნათება ირეკლება დისკობოლებში.

კლუბის უკანა გასასვლელიდან ისინი ვინრო ქუჩაზე გა-  
ვიდნენ. აქ კორპუსები ისე ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ  
აივნები თითქოს ეხებიან ერთმანეთს, როგორც რამდენიმე  
სანტიმეტრი იმ კოცნასავით, რომელიც არ შედგა. თითქოს  
გემი მიადგა მეორე გემს აბორდაჟზე.

მირიამმა მოსანევის იისფერი ბოლი აუშვა ჰაერში და  
რამდენიმე წამს დაელოდა, რომ ენახა, საით წაიღებდა ბოლს  
სიო. ბოლმა ქუჩის ბოლოში მოციმციმე ნეონებისკენ გა-  
იშვირა.

– აქ თუ იკარგები, საკუთარი მოსანევის ბოლს უნდა გაყ-  
ვე, – აუხსნა მირიამმა დეტექტივ შეცდომას. შეცდომამ ვი-  
დეომზერა ნეონებისკენ ისროლა. კორპუსის კუთხეში რამ-  
დენიმე ანგელოზი იდგა დიდი პალტოებით, საღამოს რბილ  
ცაზე შარშანდელი რეკლამები გადიოდა.

ანტიგრაფიტაციული ტაბლეტები ორსულებისთვის, ცნო-  
ბიერების დაჰაკვა, არალეგალური ნეიროპროთეზები, სულე-  
ბის გამოძახება ელექტორატის შესავსებად, ელექტრონული  
პაპირუსები, სადაც ასო-ნიშნები მხოლოდ მთვარის შუქზე  
ჩნდებიან, ატომური მიკრობომბები – ბონსაის ახალი სიტყვა,  
სიამოვნებებისა და ჯოჯოხეთის ყველა წრის გამოცდილება,  
მეტეორების ნატეხები, რომლებიც ინტერპლანეტარულ  
ხილვებს ინვეს და შავი ხვრელი იძახის შენს სახელს – ანგე-  
ლოზების გეტოებში ამ ყველაფრის შექმნა მხოლოდ ასეთ  
ქუჩებშია შესაძლებელი.

„ქრისტეს ვნებანი“, „დაკარგული სამოთხე“, „კიბერალაჰი“, „შაითნის ცეკვა“, „საიდუმლო სერობა“. აქ მხოლოდ კლუბებს კი არ ჰქვიათ ეს სახელები, არამედ ნარკოტიკებსაც, და ყველა ზუსტად გამოხატავს ამ კლუბის თუ ნივთიერების არსს. ვერც სინოდის გვარდია ბედავს ასე შორს შემოსვლას გეტომში და ვერც რეინკარნაციული პოლიცია. ამიტომაც ეძახიან ედემის ამ გეტოებს „შარიათის ჩიხებს“. აქ ერთადერთი კანონი მოქმედებს – ანგელოზების. „უკიდევანობა“.

მთავარია, იცოდე საჭირო სახელები და შელოცვები, სწორი მარშრუტები და, რაც კიდევ უფრო მთავარია, უნდა გქონდეს ქეში ან ანგელოზების საყვარელი სუნამო – სუფთა ცით სავსე ფლაკონი, რომელსაც აქ, რადიოაქტიურ მიწებსა და მოლაპარაკე კორპუსებს შორის, ოქროზე მეტი ფასი ადევს.

ცნობიერების ფაილი, რომელიც დეტექტივ შეცდომას სჭირდებოდა, სადღაც „აციფრებული მოგონებების ბიბლიოთეკის“ მივინყებულ, დამტვერილ ყუთებში ინახებოდა.

„ჩუჟოი, ძველი ინტერნეტი“ – ენერა დისკზე, რომელიც ხელისგულზე ეტეოდა და რბილი იყო კევის დიდ გროვასავით. „მთხრობელი – აციფრებული ცნობიერების მფლობელი, ნარატივდიზაინი – დიჯეი ქერუბიმი, ნამდვილი ისტორია მცირედი ედითინგით“.

– ეს გვჭირდება, – ანიშნა შეცდომამ მირიამს და მირიამმა ჯიბიდან ამოიღო სუფთა ცის რამდენიმე ფლაკონი და ბიბლიოთეკის მოხუც მეპატრონეს დაუდო მაგიდაზე.

## NATIONAL GEOGRAPHIC: TBILISI ZOO

ისე გამოვიდა, რომ ეს კვირა „ცის მონიტორინგის სამსახურში“ გავატარეთ. ნუ, ისეთი არაფერი, მძიმე სამუშაო არ არის – დგახარ ფანჯარასთან, ენევი, ეს თვითმფრინავები მიფრინავენ თბილი ქვეყნებისკენ, მკითხაობ მათ მიერ დატოვებულ კვალზე, როგორც ყავაზე მკითხაობენ ელიტარული უბნების ან google map-ზე ძლივს მოხვედრილი პროვინციული ქალაქების ბალზაკის ასაკის ქალები, ვერტმფრენები აკატავებენ – ხრუშჩოვკების თავებზე წმინდანთა უხრწნელ გვამებს, ხანდახან მეტეორი თუ გაარღვევს სტრატოსფეროს, კალაშნიკოვის ტყვიებივით ნაკანრებს ტოვებს სალამოს ცის რბილ ფირზე და მერე ეცემა სადღაც შორს, კახეთის ან ოკლაჰომის მოსაწყენ უდაბნოებში, ფრინველები უვიზოდ ტოვებენ ქვეყანას. იშვიათად დრონი თუ ჩაიფრენს და განდონა ბავშვები ეჯიბრებიან ვინ მოხსნის რაგატკით. ჰონორარიც ნორმალურია, კომუნალურებს დაფარავ, სანამ ახალი ზაკაზები შემოვა. ზედა ფანჯრის მეზობელი ამბობს ხოლმე, რომ თუ მენეჯმენტს თავს მოაბამ, მერსედესსაც იყიდო. საინტერესო აზრია, პროსტა, რა ყლედ გვინდა მერსედესი

– „იცოდი, რომ ღამის ცა ნითელ წიგნშია შესატანი?“

აი, ეს ინდიანა ჯონსის ვიღზე დამდგარი ნამყვანი ამბობს, მთელი პლანეტა ჩვენი ეკონომნათურებით, გარეგანათებებითა და ციციანათელა მეგაპოლისებითაა განათებული – გამონაბოლქვი ღრუბლებად იქცევა და ლიბრივით ეკვრება ხედვის ეკრანს, ამიტომ ჩვენ ნელ-ნელა ვკარგავთ ვარსკვლავიან ცას, რაც ადამიანობის დაკარგვის ტოლფასიაო.

– ცას გვართმევენ! – ჩამესმის ნამყვანის ხმა კეფიდან, ტვინში.

რამაზიკოს მოსვლამდე სამივემ კოდეინის შემცველი ორი ფინჯანი საბავშვო სიროპი მივირთვიო. ერთს პარკინსონით დაავადებულთათვის განკუთვნილი ნაფხვენები ჰქონდა მოყრილი, მეორეს კი გიჟების დასაწყნარებელი ტაბლეტების. ზიკომ და ანანომ კეტამინიც მიაყოლეს, მე უარი ვთქვი – დიდად არ მსიამოვნებს, როცა საკუთარ ხელს საკუთარი ფეხისგან ვერ ვარჩევ. დისოციატივებმა ეგრე იციან, პლასტილინივით ხდები, გარემო სიზმარს ემსგავსება და უცებ შეიძლება ისე მოსწყდე სხეულს, რომ ასტრალური მოგზაურობა აეროკომპანია „ვიზიარის“ ქუთაისი-ბერლინის რეისივით მარტივია.

როცა კოდეინის ასეთ სიროფს ყლაპავ, არაფერია National Geographic-ზე სასიამოვნო საყურებელი: ევოლუციის რთულ გზაზე შემდგარი ალფა-მაიმუნები პიზდავენ ერთმანეთს, გეი ლომები დარბიან აქეთ-იქით ხელოვნური ცისარტყელების ფონზე, თეთრი დათვები იღუპებიან რამდენიმე კვადრატული მეტრის ფართობის მქონე ყინულის უკანასკნელ კუნძულებზე. აცტეკი იაგუარები ჭამენ dmt-ის ფოთლებს და ხედავენ ღმერთებს დისნეის მულტფილმებიდან. თურმე პატარა დელფინები ღამის კოშმარებში იძახიან: – ზვიგენი, დედა, ზვიგენი! შანხაიში ისეთი ნისლი დგას, მზის ამოსვლას ხალხს შენობებზე დამაგრებული ვიდეობილბორდებით აჩვენებენო, ამატებს ინდიანა ჯონსი და შანხაის ბულში იკარგება. ვიდეობილბორდზე ამოდის მზე, თითქოს ლავისტრიმი იყოს, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ეს აისი გუშინდელი ჩანანერია გაშვებული და მზემ სამუდამოდ დატოვა თავისი ორბიტა? შემდეგ გადაცემაში მწერებს ვულრმავდებით. კამერა არ შორდება ჭიანჭველას, რომელსაც ტვინში ლუციფერული პარაზიტი შესძრომია. პარაზიტი აიძულებს ამ მშრომელ პატრიოტს, მიატოვოს ჭიანჭველათა ათასწლოვანი ქალაქები, სადაც

ჯერ კიდევ მარადიულ ექოდ გაისმის დიდი დედის მშობიარობის ხმები და მივიდეს ფოთოლთან, რომელთან ერთადაც მას ძროხა შეჭამს. ჭიანჭველას ეს მოგზაურობა საკუთარ ამბობად მიაჩნია სისტემის წინააღმდეგ, ის კი არ იცის, რომ მთელი მისი ამბობი – მის ტვინში შემძვრალი პარაზიტის „დაგეგმილია“. აქედან პარაზიტი ძროხის სხეულში ინაცვლებს, ჭიანჭველასთვის კი ცა სამუდამოდ იხურება თავის ვარსკვლავებიან-მთვარიანად, ფარდებივით სპექტაკლის ბოლოს ან დიდი სკივრივით, ანდა სულაც ითიშება როგორც ტელევიზორი, რომელსაც ყველაზე საინტერესო გადაცემის დროს ვილაც დაუნდობელი სხვა არხზე რთავს.

ტელევიზორი რამაზიკომ გათიშა, უფრო სწორად, რაღაც მულტფილმებზე გადართო. ძველ გერმანულ ტელევიზორს მთელი ძალ-ღონის მოკრება სჭირდებოდა, რომ სხვა არხზე გადართულიყო. ამ დროს თითქოს იჭინთებოდა და თვალებს ახამხამებდა. ანანოს ბაბუა შვება ხოლმე ამ ტელევიზორივით, როცა კვირაში ერთხელ მასთან ბანანები და ცოტა სუბოქსენი მიგვაქვს, მაგაზე ბებერი ჯანქი ცხოვრებაში არ მინახია. ჩემი აზრით, ეგეც წითელ წიგნშია შესატანი ცალკე პარაგრაფად, პირდაპირ ვარსკვლავიანი ცის მერე.

ეკრანის წამიერმა ჩაბნელებამ უხეშად განწყვიტა ჩემი თრიფის წყარო – National Geographic და ლოგინში ჩამთბარებს დოინჯშემორტყმული რამაზიკო კინგკონგის აჩრდილი დაგვადგა თავს დევივით ან გველეშაპივით, სოფლის ნაკადულს რომ დაპატრონებია და მზადაა ულტიმატუმები წამოაყენოს. უცბად ძალიან ვინანე, რომ დანარჩენებივით ენაგადმოგდებულს არ მეძინა, იმიტომ, რომ მისი ეს პოზა ყოველთვის რამე გადაუდებელი საქმისკენ მონოდებას ნიშნავდა და უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა.



– დაღამდა უკვე, აეგდეთ, თქვეჩემისებო, – ომახიანად დასძახა დევმა მიძინარე სოფელს.

თვალების დახუჭვა ვერ მოვასწარი, მაგრამ გავშეშდი – თავი მოვიმძინარე, ვითომ თვალლიას მეძინა.

რამაზიკოს გამჭოლი, გამომცდელი მზერა, რა თქმა უნდა, ჩემზე შეჩერდა.

– ე, სიმულიანტ, ასნი ტრაკი, ლენინივით რო გდისხარ! – შემომძახა დევმა და თავისი უხეში ტუფლის წვეტი ფეხის-გულში შემარჭო.

თუ კინგკონგმა თავისი ბრეჟნევის დროინდელი ხუმრობები ჩართო და მოუხეშავ ფიზიკურ კონტაქტზე გადმოვიდა, ეს ნიშნავს, რომ თავის გაშტერებას აზრი არა აქვს, სულში ჩაგიძვრება და ტუფლის წვეტის ტრიალს მანდ დაიწყებს, საათის ისრის მიმართულებით, როგორც ხარაკირის იკეთებენ სამურაები ან ლობიოს ურევენ ბენდენიანი ბებიები სოფლებში, სადაც ჩვენი ტავარი ჯერ არ შესულა. თან თვალებიც ამტკივდა ამდენი გაშტერებისგან. ჯობია, ისევ ავხამხამდე.

– ლენინს თავი დასავლეთისკენ აქვს, რო იცოდე, ბრატ, – ჩავიბურტყუნე ისე, რომ თვითონაც ძლივს გავიგე, ნამოვნიე თავი და ფეხისგულის ფხანა და თვალების ფშვნეტა დავიწყე. ასეთივე ამაო ჩორქოლი და ზუზუნი ატყდა ჩემ უკანაც

– იაფფასიანი კომიდან იღვიძებდნენ ბიობრიგადირები. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ჩვენსავით სინთეტიკური და ფაქიზი ბრიგადირები ალბათ არასდროს არც ერთ ბოსს არ ყოლია მთელს პლანეტაზე.

– დროზე რაა, როგორ მიეყრებით ხოლმე ბლიად, – ამჯერად დამწუხრებულმა გაიქნია თავი რამაზიკომ და ერთდროულად მოახერხა ტელეფონზე ნომრის აკრეფა, მისი ყურზე მიდება და ძველი ტელევიზორის თავზე სწორ ხაზად ჩამწკ-

რივებული ამფეტამინის ხაზის გაყნოსვა. ეს ხაზი – სამ კაცს რომ სამი დღე ცხენივით არბენინებს – რამაზიკოსთვის დილის ყავასავით იყო, – აზრზე მოსასვლელად – აყოლებდა ხოლმე ცხვირამწვარი.

რალაცით ცხოველს ჰგავდა, იერარქიული წესრიგის დამყარების დაუოკებელი, თუმცა გაუცნობიერებელი სურვილებით და აშკარად გამოკვეთილი ორანგუტანი ალფა-მამრის გამოხტომებით, როგორც National Geographic-ში. ეს ელემენტი განსაკუთრებით არაადეკვატურ სიველურედ აღიქმებოდა ისეთი უნებისყოფო და ანგელოზებივით უმანკო ფსიქონავტების გარემოცვაში, როგორებიც ვიყავით ქალბატონი გალას რიკულებიან სანოლში ერთად მიყრილი მე, ბათუმელი ზიკო და ბოზი ანანო.

– ხვალ დილით გალა მოეთრევა და ბინის ქირა უნდა მივცეთ რამდენიმე თვის, სახლია მისალაგებელი... პლუს დოხრენა ზაკანებია შემოსული, ხალხს გულაობა უნდა, პარასკევია ხვალ.

– ხვალ მოდის გალა? – K-Hole-იდან ამოიხედა ანანომ და საბანშივე ამოიცვა შარვალი, გეგონება, მისი გახუნებული ვარდისფერი ტრუსიკი მანამდე არავის ენახა. ზიკომაც იგივე გაიმეორა.

– ხვალ მოდის და თუ გინდათ, დახვდით და იმუსაიფეთ, წიგნის თაროებზე სულ კეტამინია მიყრილ-მოყრილი, მცენარეებს მოუარეთო, რო დაგვიტოვა – გახმა, ბალიშებზე სპერმებია!

– სპერმები შენი მოსაგვარებელია, მე სპერმას ხელს არ მოვკიდებ! – გავაპროტესტე და ისევ National Geographic-ზე გადავრთე. აქ ახლა ადამიანთა ერთ ტომზე ყვებოდნენ, ფანტასტიკურ არსებებზე, რომლებსაც ძალღის თავები ჰქო-

ნდათ. მათგან ზოგი ქრისტიან წმინდანადაცაა შერაცხილი, თუმცა ამ გადაცემამ ვერ გადაფარა ჩემი ტვინის ეკრანი, სადაც ამჯერად ქალბატონი გალა ამოტივტივდა.

კოპლებიანი ხალათით, მოკლედ შეჭრილი მუქი ნაბლისფერი თმით, საბჭოთა და ძველბერძნულ სტანდარტზე დაყენებული დიდი ტრაკით, რომელიც უცებ ისეთი დიდი გახდა, რომ ტროის ცხენივით თავის თავში პოლიციის მთელ შენაერთებს დაიტევდა. დავინახე: დილით მთელი ღამის ნაყლაპ-მონულებს თავზე გვადგება ქალბატონი გალა, იწყებს წივილ-კივილს და ფრაზა „მე თქვენ განახებთ სეირს, თქვე ბოზებო და ნარკომანებს“ მერე სასტიკად იჭინთება და მისი უზარმაზარი ტრაკი-ტროის ცხენიდან განრისხებული ღიპიანი პოლიციელები იჩეკებიან და დაუნდობლად გვირტყამენ შავ დუბინკა-ფალომიტატორებს.

ასე შეჰყავხარ ხოლმე მიქსტურიან ფიქრებს წარმოსახვის უცნობ ტერიტორიებზე.

– კაროჩე, მე და ზიკო ვალაგებთ, ჩუჟოი და ანანო საქმეს მიხედავენ... – დაადგინა რამაზიკომ და ზიკოს ანიშნა, შენი პეპელასავით თხელი ტრაკი სანოლიდან ააფარფატეო.

რამაზ კინგკონგი ჩემი უსაყვარლესი დრაგმეითი იყო. და თუ ბუნებაში არსებობს ცნება „ქართული ოცნება“, რამაზ კინგკონგი ამ ცნების სრული ოპოზიტი იყო, ნამდვილი ქართული კომმარი: სომეხი, ბარიგა და გეი. პლუს ზონდერად ნამუშევარი.

მოკლედ, ბრწყინვალე და სრულიად სასიამოვნო ადამიანი.

განსაკუთრებული პრიხოდის ან ატხადნიაკების სევდიანი ფაზების დროს, თითქოს თვითირონით, თითქოს სევდით – ვერ დაადგენდი ზუსტად, როგორი ემოციით – ხანდახან წაიჩურჩულებდა ხოლმე: „ქალაქ თბილისის უკანასკნელი

ბარიგა...“ და სულ მეგონა, რომ ამ დროს თვითონაც იმას ხედავდა თავის წარმოსახვაში, რასაც მე:

რამაზიკო კინგკონგი,

კრისტალებისა და მოსანევის ფორმის პატარა ქანდაკებით ოსკარის სტილში, მხურვალე აპლოდისმენტებისა და მგზნებარე ცრემლების თანხლებით, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ლაზერული განათებების ქვეშ:

– ქალაქ თბილისის უკანასკნელი ბარიგა! – აცხადებს არნივის ფორმაში ჩაცმული თემურ ნიკლაური და ისმის მქუხარე ტაში.

– ქალაქ თბილისის უკანასკნელი ბარიგა... – ჩურჩულებს ხალხი.

– უკანასკნელი... უკანასკნელი... – ედება ჩუმ ექოდ ფილარმონიის მბრწყინავ კედლებს. რამაზ კინგკონგი სამადლობელ სიტყვას ამბობს, ჩვენ ისეთ კაიფში ვართ და მთელი ეს სიტუაცია, ეს სცენა, განათებები, მელიისქურქიანი დეიდები, მნიშვნელოვანი ძიების სოლარიუმის პერედოზით კიბოაკიდებული ცოლები, რომლებსაც უიქენდებზე ჩვენი მშვიერი მეგობრები ტყნავენ, ბუსთავიანი საზოგადო მოღვაწეები, აპლოდისმენტების ცუნამი – ისეთი უკიდევანო და დიდებულა, რომ ჩვენ, რამაზ კინგკონგის ფსიქობრიგადა, სკამიდან ძირს ვცვივდებით, ძირს დაყრილები კი ვცდილობთ, ისევ სკამებზე ავხობდეთ.

– უკანასკნელი... უკანასკნელი... – ჩამესმის ყურში სიამაყით სავსეს და კუნთებდაჭიმულს.

– პლანეტის ნებისმიერ ნერტილში, GPS ნავიგატორის გააქტიურების დროს – მიღების ზონაში მინიმუმ ოთხი თანამგზავრია. მალე ჩვენ ყველას ჩამოვავდებთ – ფხიზელი

ანდრეი, აუღელვებლად, თავის ჩვეულ სააგიტაციო ტექსტებს პატარა რაციით გადასცემს უცნობ თინეიჯერებს მთელი ევრაზიის პატარა, მივინყებული ქალაქებში: აბაშიდან ვიდრე სახალინამდე, კოლდინგიდან მუმბაის გარეუბნებამდე და ქვევით – გოა ტრანსის ვეჩერინკებზე.

– იდი ნახუი, ანდრეი, – ვლულლულღებ ტკბილი ქართულით და ისევ ფილარმონიის იატაკზე ვეცემი, როგორც ფოთოლი შემოდგომის, ფანტელი თოვლის, ყუმბარა, ჩამოგდებული მშენებარე სახლის სახურავიდან.

თავის დროზე ბათუმის მერიაში მუშაობდა კულტურული პროექტების განხრით, აქ გაიცნო ზიკო, როცა ზიკომ ბათუმის პანკროკ-ბარის გასახსნელად ფული სთხოვა მერიას. საშინლად დაწერილი პროექტი შეიტანა, რომელსაც ქალაქის ყველა პანკის ხელმონერა ამშვენებდა – სულ 10 ცალი. „პანკროკი ხელს შეუწყობს ჩვენი ქალაქის კულტურულ განვითარებას“, – ეწერა პროექტში. შემდეგ ციხეშიც მოასწრო გასეირნება ქრთამის აღებისთვის. თინეიჯერულ ასაკში შექმნა როკ-ჯგუფი სახელად „ჰორიზონტი“ და ცდილობდა ბიძამისის Yamaha-ზე ფსიქოდელიური პროგრესივი დაეკრა, ამჟამად, როგორც ჩემთვის იყო ცნობილი, ტურისტულ კომპანია „ფლაი ჰაი თრეველის“ რიგით მუშად ითვლებოდა, თუმცა თავისი დაუდევარი ბუნების გამო, რა თქმა უნდა, აქაც ვერაფრით ეტეოდა ერთი კომპანიის ფარგლებში და თავისუფალ დროს – ჩვენთან ერთად ქიმიით ამარაგებდა ნახევარ ქალაქს. მისი მოუსვენარი ცხოვრების მანძილზე დაგროვებული საეჭვო ნაცნობების სია ძალიან გვეხმარებოდა ბიზნესის გამართვაში.

ზიკო ტანსაცმელს ყრიდა „ადიდასის“ უშნო ჩანთაში. ტელევიზორში ისევ ძროხას აჩვენებდნენ, რომელმაც ჩემი ჭიანჭველა უკვე შეჭამა და ახლა თვითონ გახდა ლუციფე-

რული პარაზიტის გადამტანი. კალი იუგა დასრულდა, ციკლი განახლდა.

ანანოს კეტამინით გაფითრებული სახე აიფონის ციფრულმა სიცივემ გაანათა. ის ბანკის ოპერატორისა და ერთგვარი ქოლცენტრის ფუნქციას ითავსებდა ჩვენს მიკროორგანიზაციაში.

– გამარჯობა, ბარიგა ანანო გისმენთ, რით შეგიძლია მოგემსახუროთ?

– გვინდა ორი გრამი ემდი და ორი მარკაც ჰოფმანი.

– ჰოფმანის პარტია შემდეგ კვირას შემოვა, მაგრამ შეგიძლია, მისი დაბალხარისხიანი სინთეტიკური შემცველი – NBOME შემოგთავაზოთ. უფრო ლეტალურია.

ზაკაზები ხან ვაიბერით მოდიოდა, ხან სკაიპით. მოკლე საუბრიდან ვადგენდით, რომელი ნარკოტიკი სჭირდება მომხმარებელს და ველოდებოდით ფულის გადმორიცხვას. ანგარიშზე ფული რომ დაჯდებოდა, მე და ანანო ბალებსა და კორპუსებში ვფანტავდით ფაქტებს: ვმაღავდით მრიცხველების უკან, დრონით ვყრიდით მომხმარებლის სახლების სახურავებზე, ვდებდით სანაგვე ურნაში ვაკის პარკთან, შემდეგ კი მოვდიოდით და მისი ფაქტის ადგილსამყოფელს ვუმესიჯებდით მომხმარებელს. სქემა მარტივია, ფული და თრიფი – ბევრი. მთავარია, აქაც, ისევე როგორც მარკეტინგში, ორი მთავარი მცნება დაიცვა:

1. მომხმარებელი „მეფეა“, რაც ნიშნავს, რომ მომხმარებელს აუცილებლად კარგი ტავარი უნდა მიაწოდო და მილიგრამები არ დააკლო, რასაც ბრწყინვალედ ვართმევდით თავს.

და

2. როგორც Notorious BIG იტყოდა: “Never get high on your own supply”. ანუ საკუთარ ტავარზე არ შეჯდეთ. რასაც ასევე

ბრწყინვალედ ვართმევედით თავს, ოღონდ პირიქით – ვიჯექით გიჟებივით.

– შენ რა, აქ აპირებ დარჩენას?

ანანომ დაჭმუჭნილი, დადორბლილი ბალიში გაასწორა და საბნის ქვეშიდან ქალაღში გახვეული მოსაწევი ამოაძვრინა. საწოლი უკვე დალაგებული იყო, სპერმიანი ბალიშები – სარეცხის მანქანაში, სარეცხი – გაკიდებული.

– არავინ არსად არ დარჩება, ქალაქი გულაობას აპირებს და პოლიცია ნერვიულობას, – თქვა ჩვენმა დევმა და ტლანქ ხელში გალას გასაღებები ააჩხრიალა რკინის გველებივით, რომლებიც თითქოს მცხუნვარე მზესა და სუბტროპიკულ ხილვებზე მისისინებდნენ განთიადის ქალაქის დახუთულ ერთოთახიანში.